27 ივლისი, 1908 წ. ფასი ყველგან 10 კ.

იუმორისტ. ჟურნალი



დეპუტატის გასამართლება.

კეთილშობილნი
მამულიშვილნი,
თავადის შვილნი,
აზნაურ ქმნილნი
აქ შეკრებილნი
და ენა ტკბილნი
დეპუტატ კარლოს ასამართლებენ.

ხატ დაკიდულნი,
გმირნი, ლომ-გულნი,
და სიტყვა ბრძნულნი
შავ-შელებულნი
თავ-აღებულნი,
გალაღებულნი
ხატისა გმობას დააბრალებენ.

და მათი კილო
საშვილიშვილო,
არ სათაკილო
სმენა სატკბილო
ნორჩო და ჩვილო,
გლეხისა შვილო,
მომავლის გზასა გაგინათებდეს.

* *
*

ქარს გავატანე იმედი
უდაბნოს დასამარხავად,
ახლა იქ ფრენა ვიფიქრე
სათვლავის დასანახავად!
ვნახო — იქნება კვლავ აღსდგა,
არ ასვენია სათვლავში,
იქნებ უჩინრად თანა მდევს
შავ ცხოვრებასთან ბრძოლაში,
და სიხარული მომელის
იქნებ შავ ცრემლებ მორეულს,
სათვლავსა ვნახავ ცარიელს
და ლოდსა გადაგორებულს!
ვნახო სულის სწორს ჩემს შემდეგ
ვინ უმღერს ტკბილსა ძილის პირს,
ვისდა უყვება დარდებსა,
შავ ბოდმას, სევდა გასაჭირს!
მრისხანე გრიგალს, ზღვაურსა
თუ მოალერსე ნიავსა,
იქნება ცაცხვსა ბებერსა
ან ახლად გაშლილ იასა!
ჩუმ სალამს ვეტყვი ცივ ლოდსა
და სიტყვას სხვისგან ფარულსა,—
იქნებ გამომყვეს ძვირფასი
უსაზღვროდ მის მოყვარულსა!
. . . .
დიდი ხანია იმედი
ქარს ვანდე დასამარხავად,—
ახლა იქ ფრენა ვიფიქრე
სამარის დასანახავად!

იასამანი.

ეშმაკის ,,ირადე.''

1908 წლის, ხოლერობისთვის 23 დღესა, ჯოჯოხეთის ყოველსა კუთხეს ეუწყა მთავარ-ეშმაკის უზენაესი ირადე:

„ჩვენ, მთავარმა ეშმაკმან და მბრძანებულმან სრულიად ჯოჯოხეთისა, მეუფემან ზესკნელისა და ქვესკნელისა, ყურად ვიღეთ რა თხოვნა ჩვენთა საყვარელთა ქვეშევრდომთა, ვბრძანეთ:

1) ამნისტია ეყოს ყოველთა ქურდთა მტაცებელთა და მედანოსეთა, რომელნიც რაიმე შეცდომისა მეოხებით დასჯილ ქმნილან დატყვევებითა.

2) ცხენის ქურდთა და დურმიშხან-მდაბალთა ებოძოს სტრაჟნიკობა ან სხვა რაიმე სამსახური მცირედი. მოქურდალთა ზე აღმატებულთა მიეცეს სამსახური ზემორე ამისა.

3) ეპატიოს სასჯელი ყოველთა მმუსვრელთა მოძმეთასა და უცხოთსა,— მმუსვრელთა ებრაელთასა.

4) ებოძოს ორდენი წმინდისა მოწამისა, ხოლერა აზიელისა, სპარსეთის შაჰს, ერთგული სამსახურისათვის.

5) ებოძოს დროშა ორთავიანი ზუბრით „ზაკავკაზიეს“ რედაქციას, ახალი მიმართულებისათვის.

9) ებოძოს ოზურგეთის ქალაქის თავობა კვალად ვასილ ხუნდაძესა, სახელით წარსულის სახსოვრად.

7) ებოძოს ბათუმის ბოქაულობა, ან რაიმე ადგილი იმავე ქალაქის გამგეობაში, ქუთათურ თავად-აზნაურთა სახელით წევრს და ცნობილ ორატორს ლუკა გაბუნიას.

8) მიეცეს ყველა თავისუფალი ადგილი ქუთაისის სათავად-აზნაურო სკოლისა, დარჩენილ მასწავლებლებს.

9) მიეცეს ქართული სტიპენდიები მხოლოდ დორპატის „ქართულ ზემლიაჩესტვოს“ წევრებს.

10) გამოეცხადოს ორკეცი მადლობა: ა) ყველა მარშლებს, რომელნიც მდიდართა შვილებს ანთავისუფლებენ ბ) ყველა მამასახლისებს, და მწერლებს, და ზემორე მათთა მდგომარეებს, რომელნიც გამოსარჩენის პრაქტიკას აწარმოებენ. გ) ყველა სულიერ მამებს, რომელნიც დრამა ფულისა და სხვა საღმრთო შესაწირავთა მისაღებათ არ უხვევენ „კანონიერ გზასა“.

11) გამოეცხადოს ცალკე მადლობა ყველა ორ-კაკარდიან აღმზრდელ-მასწავლებელთ; ყველა ახალ-მოდის ექიმბაშებსა და უებარ მოწამლეთა. (მათ შორის ბ-ნ ახობაძეს.) ყველა მეაფთიაქეთა, რომელნიც არა ზოგავენ წყალს წმინდასა ხალხის განსაკურნავათ

სამშობლოს მოღალატე.

ბევრსა ჰგონია, რომ მე ვღალატობ
და სამტროდ ვუცქერ სამშობლო მხარეს;
ბევრსა ჰგონია, თითქო ბრმა ვიყო,
ვერ ვცნობილობდე მტერს და მოყვარეს.
ზოგი კი ბედავს აწმყოზე მსჯელობს,
ზოგი წარსულზე მიწყებს მასლაათს
და მაყვედრიან, რომ მე ვივიწყებ
სამშობლო ქვეყნის ზნეს, სჯულს და ადათს.
მაგრამ ესმით კი თვით ამ ბრალდების
უსაფუძვლობა, უკანონობა?
ან შეუძლიათ, ასწონ-გაზომონ
მათ ჩემი საქმე, აზრი და გრძნობა?!
საქართველოზე გაიძახიან,
თითქო ის იყოს ერთი, მთლიანი
და ავიწყდებათ, რომ არის მხოლოდ

საქართველო ორ-სართულიანი!
ისინი, ვინაც ზედა სართულში
დარბაისლურათ სხედან და ბჭიბენ,
ქვედა სართულზე ზიზღით აღვსილნი
მთელს შენობაზე მასლაათობენ;
განცხრომის შვილებს და ბედ-მადლიერთ
სწამთ თავიანთი ამპარტავნება
და—ამ „კერპის“ წინ გუნდრუკის კმევა—
აი, რა არის იმათი მცნება!
მაგრამ სულ სხვაა ქვედა სართული,
სამკვიდრო ბინა უმრავლესობის,
ტანჯვის სამეფო, საასპარეზო
აღვირწახსნილი უსამართლობის!
სამშობლო ქვეყნის მთელი შენობა,
მთელი სიმდიდრე ზედა სართულის,
ეგ ამაგია ამ ქვეშ მცხოვრებთა
შუბლ-მკერდთა ოფლის და გულ-ხელთ წყლულ-
ლის!
აქ მეფობს შრომა, იქ-ფუფუნება,
აქ ისმის კვნესა, იქ იცინიან
და მათთვის საზრდოს შემქნელთ, მიმრთმეველთ
მაღლით ნასუფრალს გადმოუყრიან!..
მერმე დავსჯერდეთ უნდა ნასუფრალს
და ავიტანოთ ამდენი მწარე?
ჩვენი ტირილით სხვები ვაცინოთ—
ამას გვავალებს სამშობლო მხარე?!
და თუ ასეა... მაგრამ რას ვამბობ?
ეგ ოინია! უმსგავსი ხრიკი!
და ჩვენც ასეთ წესს ვერ ვურიგდებით,
მას ბრძოლა უნდა, ბრძოლა სასტიკი!
რომ მთლად მოისპოს ზედა სართული,
მთელი შენობა გაერთიანდეს,
პირქვე დაემხოს ცხოვრების ჯადო
და შრომის დროშა ზე აფრიალდეს!..

ნ. ზომლეთელი.



შეკითხვები

შეკითხვა პირველი.

მოეხსენება თუ არა ბ-ნ ეშმაკს, რომ თფილისის საქონლის სადგურის მუშათა არტელის წევრმა ბ-მა შ—ვმა, ერთ სოფლელს, ვაგონის დასაცლელათ გამოართვა სამი ქანქარი; სოფლელი დროგებისათვის გაგზავნა და ამ დროს თითონ სადღაც მიიმალა.

რომ ტყვილა უბრალოთ შეწუხებულმა მედროგეებმა სოფლელს ქანქარი მოსთხოვეს და თავი დაიკმაყოფილეს, ხოლო სოფლელი იგი დარჩა ერთი კაცისაგან ორგზის მოტყუებული? და თუ მოხსენდება ყოველივე ეს, რა ზომას მიმართავს.

ბ—ელი.

რეზოლიუცია ეშმაკისა: ვინაიდან სოფლელთა მოტყუილება ღღეს ღღეობით დიდ დანაშაულათ არ ითვლება და სასჯელთა დებულების კანონის მუხლით არ ისჯება, შეკითხვა ესე გადაეცა კომისიას.

მდივანი.

შეკითხვა მეორე.

მოეხსენება თუ არა პატივცემულ ეშმაკს, რომ მისი (ბ-ნი ეშმაკის) მოღვაწეობის ცამეტი თვისა და შვიდი კვირის იუბილეის აღსანიშნავათ და მოქმედებათა გასარკვევათ შესდგა მთელი ჯგუფი ტიპიურ „მწერალ ქერქეტაძეთა“, რომელი ჯგუფიც აპირებს ახლო მომავალში კრებულის გამოცემას ამ სათაურით „ეშმაკი და მისი „მოღვაწეობა.“

და თუ მოეხსენება რა ზომების მიღებას აპირობს?

მხვერავი ეშმაკი.

რეზოლიუცია ეშმაკისა: ჰმ! ათასი მადლობა!

მდივანი.

შეკითხვა მესამე.

მოეხსენება თუ არა ბ-ნ ეშმაკს, რომ გაზეთ „ზაკავკაზიეს“ ახალი რედაქტორი კონსტანტინე თუმანოვი, ზოგიერთ ვექილებთან პირად ანგარიშის გასასწორებლათ ისეთ შეუწყნარებელ ზომებს მიმართავს ხოლმე როგორიც არის სასამართლოს ხრონიკის გადამახინჯება.

თუ მოეხსენება ყოველივე ეს, რა ზომების მიღებას აპირობს მათი უეშმაკეულესობა.

№ 79.

რეზოლიუცია ეშმაკისა: რადგანაც გაზ. „ზაკავკაზიე“ წარმოადგენს კერძო საკუთრებას აღნიშნული რედაქტორისას და ვითარცა ამგვარზე, მას სრული უფლება აქვს ყოველგვარი არა საკადრისი მოიმოქმედოს, ჩვენ ვერ ვპოვებთ საშვალებას ბ-ნი რედაქტორის გასასწორებლათ, ვიდრე არ მოისპობა დღევანდელი, კერძო საკუთრებაზე დამყარებული, კაპიტალისტური წყობილება. ამ გვარათ ახლო მომავალში არ არის არავითარი იმედი ბ-ნი კ. თუმანიშვილის გასწორებისა და ამის გამო შეკითხვა გადაეცა კომისიას.

მდივანი.

შეკითხვა მეოთხე.

მოეხსენება თუ არა ბ-ნ ეშმაკს, რომ თფილისის საბაღოსნო სკოლის სასარგებლოთ გადადებული ოთხი ათასი ქანჭარი, სამეურნეო საზოგადოების ხაზინადარმა, ბ-მა იოსელიანმა კასაში შეინახა, სკოლა ისევ მოვალეებით ალყა შემორტყმული დასტოვა და თითონ ავარაკში მიიმალა.

რომ აღნიშნული „პოსობიიდან“ საზოგადოების გამგეობა თავის მოსამსახურეებს აკმაყოფილებს, ხოლო სკოლის მოვალეებს ბოლოკის კუდის ამარა სტოვებს.

თუ მოეხსენება ყოველივე ეს, რა ღონის ძიება აქვს სმხეში.

ჯარხალი.

რეზოლიუცია. მოგეხსენებათ, ცხოვრებაში მუდამ ასეა: სახელი ერთისა, სახრავი მეორესი და შეიძლება საზოგადოებაც ამით ხელმძღვანელობდა, როცა სკოლისთვის დახმარებას თხოულობდა და თითონაკი იჯიბისყურებდა Своя рубашка ближе къ тѣлу.

შეკითხვა კომისიას გადაეცა.

მდივანი.

შეკითხვა მეხუთე.

1) იცის თუ არა პრემიერ ეშმაკმა, რომ ბაქოს ნავთის მრეწველთა ქართველ გამგეების გაძლიერებულ იერიშს თან დაერთო წვრილ-ფეხა ქართველ მოსამსახურეთა იერიშიც ქართველ მუშათა წინააღმდეგ?

2) რომ მოსკოვ-კავკასიის ნავთის მრეწველთა ამხანაგობის უფროსი „სტოროჟ“-ის ბ. ლეჟავას დურმიშხანობით სამუშაოდან დაითხოვეს ორი ქართველი მუშა, რომელნიც ამ ფირმაში თითქმის ნახევარი წელიწადია მუშაობდენ, ხოლო ბ. ლეჟავას განკარგულებაში სამ დღეს ვერ იმუშავეს?

და თუ იცის რა ზომების მიღებას აპირებს.

ბაქოელი.

რეზოლიუცია. რადგანაც ბ-ნი ლეჟავას საქციელი სიმპატიურია და გამოწვეული კაცთ-მოყვარული გრძნობით, რომ მუშები შრომით არ დაიქანცონ, საჭიროთ მიმაჩნია ებოძოს მას 60 ფლაკონი ახობაძის სპერმატინისა და საკითხი გადაეცეს კომისას.

მდივანი.

გურული სცენა.

თავად-აზნაურობის კრება.

სად ბრძანდებოდი კნიაზო კელენდუხ!

— ნეტაი ფეხი მომტეხოდა, კისერი მომჩანჩქალებოდა ძირში და მე იქინეი არ წავსულაყავი! ჰაი ჰაი რა დღეს მივესწარით! დაგელოცა, ღმერთო, სამართალი ჩემს უკეთესს აფერს მიერიე რა იქნა ზეიზერ რომ წამწყმინდე, რეიზა გაგიჭირდა ჩემი სულის ამორთმევა.

— რა იყო კნიაზ, ნუ გადამაღირსე, ვინ შენ და ვინ ასე ღვთის შეცოდება.

— ეჰ! ჩემო დის წულო, შენ ჯერ კიდევ ბალანია ხარ და ვერც-კი მიხდები რაფერ მევიჯაყეთ მთელი გუბერნიის თავად-აზნაურობა, რაფერ მოგვეჭრა თავი. ნათქვამია „გამოსავალი სისხლი უნდა გამეიდესო“ ნამდვილია ქვეყანა წინ მიდის ახლა ყველაფერის ახალი თესლი ვარგა და შენ ჩაფრენილხარ ბებიას და უკრიმანჭულებ „ას ოცი წლის ბებიაო, როის გათხოვდებიაო, ჩაიცვი და დაიხურე გაქალიშვილდებიაო“ არ იქნება ბიძია კბილ ჩაყრევებული დედაბერის გაქალიშვილება არ მოეწყობა, რამდენიც უნდა ალამაზო, ერთი კოთხო უმარულიც რომ შესცხო, მაინც დედაბერი იქნება, ასეა ჩვენი საქმეც, წევიდა ჩვენი ვახტიც. ასე რომ არ იყოს და ძველი თესლი რამეთ ვარგოდეს, დედაბერს რომ ქალიშვილობა შიეძლოს რაცხას მაშვინ ჩვენც ქე შევიძლებდით, მაგრამ ალარაა ბიძია კეთილშობილი, მოილია, მომოდულდა. მადლობა ღმერთს კიდევ, რომ ქვეყნის მოსაჯაყავ-მოსაკიცხავათ ალარ ვმრავლდებით.

— რაცხა ძალიან გაგტეხია გული ბიძაჩემო!

— მე რომ ქუთეის სანახავი ვნახე გული კი არა ცოცხალი რაფერ ჩამოვაწიე შინ არ გიკვირს... კაი ხანია თავად აზნაურების კრებას არ დავსწრებივარ და დივესწარი. ჯერ იყო დეიწყეს ბატონო რუსულათ ბეუტური, მერე ამიზა რომ შიაპალურეს მოყვენ ქართულათ ბეუქურს. ირეჩეს, ირეჩეს და კაი ჩუულბენ. დეპუტატი კარლო ჩხეიძე რეიზა პურიშკევიჩი არ არისო, რეიზა ყოველ-დღე მეტანიას არ შობაო, გამოვრიცხოთ, ავყაროთ აზნაურის ღირსებაო. მერე ვინ რიცხავს არ იკითხავთ ბატონო? მამის ქონება რომ შეჭამა, ძმაი რომ გააგიჟა, ცოლი რომ გაყიდა, აშორდიას აგენტი რომ იყო და აზნაურობას 600 მ. არიგებდა—ამისთანა კაცები იძახიან სხვაი არ ვარგა აზნაურათ—კეთილშობილებს არცხვენენო. ა ყოჩაღ კნიაზებო! ძალიანი საქმე ქენით, აგია რომ იტყვიან: „გაღმა გაედავე, გამოღმა შეგრჩებაო“. ჯერ ერთი კარლოზაც გეკითხა

უნდა თუ არა შენი ზიარი აზნაურობა. არა ბიძია ტყუილია ჩვენი ფაფხური ხალხის წარმომადგენელი და ხალხის არჩეული კი არის და ჩვენი წარმოპადგენელი რომაა კნიაზ პროკოფი შარვაშიძე ქია იგი კაცი მისდა პატიოსან მუნჯივით, ჩვენ არც იგი გვეკადრება.

— კი მარა ბიძა ჩემო წინაალმდეგი არეკაცმა არ თქვა სა იყო ნეტაი სილოვან ხუნდაძე, კიტა აბაშიძე, ნიკო თავდგირიძე რავა აგინი კრებას არასოდეს არ აკლდებოდენ და ახლა ასე საინტერესო საკითხი თუ იყო რეიზა აფერი თქვეს, თუ არ დიესწრენ ნეტაი?

— მეც ბევრი ვათვალიერე მარა ვერ დავინახე. ასე ამბობდენ იგინი იმ დღეს არც წვადს წვავდენ და არც შამფურსო!.

— ? ?

პიტნა.

გ ა მ ო ც ა ნ ა.

(ქიათურელთათვის)

გამოცანას მოგახსენებ
დიდი არაფერიაო:
ხან ესდეკი,—ანარხისტი,
უფრო კი ესფერიაო.
ქიათურის სცენის თვალი
ვინ იცის რის მქნელიაო
კლოუნია, ურუშაძის
ნასწავლ—გამოწრთვნილიაო,
სიყვარულის წერილებს სწერს
მთელი უბნის ქალებსაო,
მაგრამ ქოსა მატყუარას
ბრანწი მიაყარესაო.
გააწყალა ბუფეტები
კუპატების „თრევითაო“
და სახელი მოიხვეჭა
მარქსისტების წყევითაო.
ნიშადურლებს თანაუგრძნობს,
ამყოლია ფეხისაო,
ლექსიც უძღვნა ესდეკებსა
„მარქსისტის და გლეხისაო.“

„ბაქოელი“

ქართული პრესა

დიდი ხანი არაა მას აქეთ, რაც ჩვენმა ჟურნალმა ერთი მეტათ ღირსშესანიშნავი ფაქტი აღნიშნა ჩვენი ხალხის ცხოვრებიდან. ჩვენ ღრმათ დარწმუნებული ვიყავით, რომ ქართული პრესა სულ თუ არა, ნაწილი მაინც სიამოვნებით აღნიშნავდა თავის ფურცლებზე ამ ახალ მიმდინარეობას ჩვენი ხალხის ყოველმხრივ ჩამორჩენილ ცხოვრებაში, მარა მწარეთ მოვსტყუვდით! აი საქმე რაშია: ჩვენ ჟურნალში მოხსენებული იყო, რომ გურიაში ვინმე მხევალი, კლავდიათ წოდებული, ერთ აფიცერთან სეირნობს ხან „ვერხომ“ ხან „პეშკომო“ ასე რომ, ხსენებული მხევალი ძალიან „დაუახლოვდა“ აფიცერსო, იწერებოდა კორესპონდენტი და თან დაბეჯითებით ითხოვდა, არ ვიცი რომელი საბუთის ძალით, შეელას მათ დასაშორებლათ. ჩვენის აზრით, აბა, ვის რა ხელი აქვს ასეთ საქმესთან—ვისაც უნდა იმას „დაუახლოვდეს“ ვინმე მხევალი, მარა ყველა ასე ხომ არ მსჯელობს ჩვენში: როგორც ხედავთ, ყოფილა ერთი ჯურის ხალხი, რომელსაც ასეთ საქმეში ჩარევა თავის წმინდა მოვალეობათ მიაჩნია და ყოველივე საშვალებით ცდილობს საქმის ჩაშლას და ამავე დროს მოიპოვება მეორე „მოდგმის“ ხალხი, რომელთაც „დაახლოვება“ ამ ნიადაგზე „საქმისთვის“ სასარგებლოთ მიაჩნია. ამ ორ „მიმართულებათა“ შორის მუდამ იყო არის და იქნება ბრძოლა. ჩვენ, რასაკვირველია, ის არ გვაინტერესებს ამ შემთხვევაში, თუ **რა იქნება** შემდეგ, არამედ ის, თუ **რა იყო** წინეთ და **რა არის** ეხლა. როგორც დავინახეთ, ასეთი დაახლოვების **ეხლა** მხოლოდ მოწინააღმდეგენი სჩანან პრესაში, მომხრენი კი არა. სულ სხვა **იყო** რამდენიმე წლის წინეთ. მაშინ, როგორც მოწინააღმდეგენი ასეთი „დაახლოვების“, ისე მომხრენი აშკარათ გამოდიოდენ. მაშ, მოვიგონოთ ცოტა რომ წარსულიდან: როგორც თავის დროზე აღნიშნული იყო მწერლობაში, რამდენიმე წლის წინეთ ქ. ოზურგეთში იქაურმა მხევლებმა, არავის უთქვამს რა მოსაზრებით, ადგილობრივ აფიცრობას „ბოიკოტი“ გამოუცხადეს. ეს ბევრმა „საქმისთვის“ საზარალოთ მიიჩნიეს და ბ. ტ. ართმელაძის პირით კიდევაც აღნიშნეს ეს ბეჭდვითი სიტყვის საშვალებით. ბ. ტ. ართმელაძემ ჩვეულებისამებრ ჯერ საზოგადოთ მოიხსენია ქალიშვილების როგორც ამ საქმეში „უტაქტობა“, ისე მათი სხვა არა სასურველი მხარეები. აი რას სწერდა ის:

...„სიტყვა, „სოციალ-დემოკრატია“ და „ბოიკოტი“ „მოდათ“ გარდაიქცა!.. ასეთმა საუცხოვო მოვლენამ გზა გაუხსნა და თავისკენ მოიზიდა „ახალ-მოდის“ მოღვაწეები, რომელთა შორის პირველი ადგილი დაიჭირეს (როგორც „მოდის“ შემოღებაში მოწინავე ელემენტებმა) ქალებმა. ნამეტანი თავდავიწყება ამ საქმეში ქალიშვილებმა გამოიჩინეს, (ნამეტნავათ გურიაში) ხსენებული სიტყვების მოდათ შემოსვლა და გურულ ქალიშვილების უმეტესობისაგან—თმების შემოჭრა ერთი იქნა!.. იმ თმების, რომლის უარ ყოფა—ამ სამი—ოთ-

ხი წლის წინეთ ყოვლათ წარმოუდგენელი იყო მათთვინ!.. ამას ზედ მოაყოლეს მოკლე-მოკლე კაბებიც და ამნაირათ, გარდაიქცენ ხელათ ს. დემოკრატებათ ყველანი, მხოლოდ-კი გარეგნულათ, რასაკვირველია. „ბოიკოტი“ როგორც „მოდაში“ ახალ შემოსული, ყველას პირზე ეკერათ და კიდევაც გამოუცხადეს იგი ოზურგეთში—სალდათებს და აფიცრობას იმ დროს, როცა იაპონელების განათლებული ქალები განგებ უდგებოდენ რუსის აფიცრებს მოსამსახურეებათ (იმ მიზნით, რასაკვირველია, რომ კარგათ გასცნობოდენ რუსეთის მისწრაფებას—მოქმედებას, მათ ძალას და შემდეგ ეს ცნობა თავიანთ ხალხის სასარგებლოთ გამოეყენებიათ), ჩვენებურმა „მოდით“ გატაცებულმა ქალებმ „ბოიკოტი“ გამოუცხადეს იმავე აფიცრობას—თავისივე ეზოში და ამით უფრო ხელი შეუწყვეს საქმის უარესად გამწვავებას და სხვ... „ასეთია მოდათ გადაქცეული მოქმედება—მიმართულების უაზრობა—ასეთი იყო ჩვენებურ გარეგნულათ გასოციალ-დემოკრატებული ქალ-ვაჟების ტაქტიკა ბიუროკრატიასთან ბრძოლაში“ და სხვ... *).

საქმისთვის უმნიშვნელოა, რასაკვირველია, — ბ. ტ. ართმელაძის ქადაგებამ გამოიღო ისეთი სასურველი ნაყოფი, რასაც ჩვენ გურიაში ვხედავთ, თუ თავისით შეიგნეს ზოგიერთმა იქაურმა ქალიშვილებმა ეს—მარა ის კი ფაქტია, რომ იქაური ქალიშვილები თუ ყველა არა, ზოგი მაინც არ „გაურბის“ აფიცრობას და ეს ხომ „საქმისთვისაა“ სასარგებლო და გვიკვირს ეს მოვლენა რატომ არ ადნიშნა ბ. ტ. ართმელაძემ „ნიშადურში“ მაინც, როცა მას მოწინააღმდეგე აღმოუჩნდა ბრესაში.

ჩვენ აქ, რასაკვირველია, არ შეეხებით იმას, თუ როგორაა ქალიშვილების საქმე მეორე მხრივ—კიდევ იკრეჭენ თმებს და ატარებენ მოკლე კაბებს თუ არა და სიტყვას დავუთმობთ ამ კითხვებში დაინტერესებულ მხარეებს.

*
**

პატიოსანი, წმინდა შრომით, დღისაგან დღითა
რადაც ორიოდ გროშისათვის, თავის სარჩენად,
ორონტრიალით, მწვავე ბრძოლით, ეკლიან გზითა
ლამობს—ეგ ტანჯვა შეიცვალოს სანატრელ ლხენად!
ერთხელაც არის ის მიაღწევს თავის საწადელს:
ტანჯვის სამეფოს შვების ქვეყნად გადააკეთებს!
ახლის ქვეყანას დღეს მოხვეულს ძაძას, რიდე ბნელს,
რიჟრაჟს დაიწყებს განთიადი! მზე მოაშუქებს...
ისიც ამ დიად წამისათვის მუშობს, იღწვის,
არარად უჩანს გასაჭირი, მის წინ არ სდგება!
ტაძარზე კაცთა ცხოვრებისა ზვარაკად იწვის,
იცის, რომ ბოლოს გამარჯვება იმას დარჩება!..

ნ. ზომლეთელი.

---

*) იხ. ტ. ართმელაძის—„შეთაურთა უმეტესობის უთაურობა და ჩვენებური მებრძოლი ხალხის პირველი დამარცხება „გვ. 29.—წიგნის მაღაზია „ცოდნის“ გამოცემა. თფილისი, 1907 წ.

მესტვირული.

ძმანო ეშმაკნო! მეცა მსურს
ქუთათურ „ზუბრთა“ შექება,
საქმეა საპოპმანები
ვინ იცის მით რა შეგვხვდება,
რადგანაც დურმიშხანულათ
იციან „საქმის კეთება“,
მარა ჩვენ მაინც დავმღეროთ
რაც სასიმღერო გვექნება...
ოჰ, ვინ არ იცის, რომ „ზუბრნი“
ღვთის მოყვარენი არიან,
უყვართ ხატი და ჯვარები,
საყდრებში ხშირათ დადიან,
წმინდა სამებას აროდეს
ქანქარზე არა გასცვლიან
და არცა ჩინ-ტემლაკებზე,
თუმც ჩინნი ძლიერ სწადიან.
მისდევენ ქრისტეს მცნებასა,
იცავენ დაჩაგრულებსა,
ერთთავად დაედებიან
მალამოთ ხალხის წყლულებსა,
არ წაართმევენ არავის
ნაშრომს, ნაჭირნახულევსა,

არც სასალდათოს ვინმესა
გამოსცანცლიან ფულებსა...
უყვართ თავისი სამშობლო
უმეტეს სიცოცხლეზედა,
არა გასცვლიან იმასა
ლამაზი ქალის ეშხზედა,
არც კარტზე, არცა ჩინებზე,
არც კახურ ღვინის წვეთზედა
და არცა არჩევნების დროს
თეთრსა თუ შავსა კენჭზედა...
ბრწყინვალე თავებს გასწირვენ
სამშობლოს უფლებისათვის,
არ იბრძოლებენ აროდეს
მეტ-მეტი ღალებისათვის,
არც სამ ივნისის კანონის
იმგვარათ გარდაქმნისათვის,
რომ „ზუბრთა“ კრება ირჩევდეს
ტეპუტატს ქვეყნის ხსნისათვის...
ხშირ-ხშირათ უყვართ მამულის
ჭირ-ვარამზედა თათბირი
და მთელი ერის სახელით
ჰქუხს მათი ძველი საყვირი,
ვინც „ზუბრთ“ უფლებას არ იცავს
მათ ინტერესზე არ სტირი,
არ შეგაჩვენებს იმათი
ბრწყინვალე ბაგე და პირი!...
არ შეიძლება იკადრონ
ძლიერთა ფეხთა-მტვერობა,
ათასჯერ გამოიცვალონ,
დასჩემდეთ მრავალ-ფერობა,
არ იკადრებენ: რაცა სთქვეს—
დღეს მას დაუწყონ მტერობა,
თუ გუშინ კრავად ვიდოდენ,
დღეს დაიჩემონ მგელობა!..
ასეთებია „ზუბრები,“—
სამშობლო ქვეყნის ბურჯები,—
გლეხთაგან გაყვლეფილები,
მრავალგზის წამებულები!..
და ძმანო ჩემნო ეშმაკნო,
არა ვარ დასამდურები
თუ უფრო ველარ შევაქე
დიდათ საქები „ზუბრები“...

კენტი.



ღარიბთა თხოვნა ეშმაკისადმი

პატივცემულო ეშმაკო
სრული სიმართლის მფლობელო,
ყველა საძაგელ პირების
ძილისა გამაბრთხობელო!
პატარა სათხოვარელი გვაქვს
გთხოვთ რომ გვისმინო ყურითა
ეგებ გვაშორო სევდანი
მაგ შენი სამსახურითა.
გთხოვთ რომ შეხვიდეთ ქალაქის
დარბაზში ამაყურადა,
მონახო პურის მენიხრე
და გაჰკრა შენებურათა.
პურის შესახებ უთხარი
რა ქენით დანაპირი თქო
ნუ თუ არ მორჩა ის ვადა
სულ „სამ კვირას“ რომ ყვირითქო
ერთიც უცხუნე მათრახი
ბეჭსა და ბეჭის შუაზე
ეგები იგრძნოს სიმწვავე
მალე მოვიდეს ჭკუაზე.
მით მიხვდეს პურის ძვირობა
რა ძნელი ასატანია,
ჩქარა შეუდგეს ახალ ნიხრს
არ დააყოვნოს ხანია.

თითონ იცის.

დ ე პ ე შ ე ბ ი.

ყვირილა. ამ დღეებში ჩვენს დაბაში დაარსდა ახალი განყოფილება ბახუსის მოთაყვანეთა. განყოფილებას განაგებს ცნობილი წევრი ბახუსური მიმართულებისა ბ. მუშკურინი თავისი კომპანიით და ეწოდება სახელათ „ა კურო.“ ნაშვადღევის 3 საათიდან განყოფილება იწყებს ენერგიულ მოქმედებას და იმ უბანში ძნელათ გაატანს ვინმე, მეტადრე მდედრობითი სქესისა.

საჭიროა „ანტიბახუსინი“ რაც შეიძლება მეტი.

გრიცკო.

საყულაა. დაარსდა მოკრივეთა ჯგუფი. თავმჯდომარეთ ერთხმათ არჩეულ იქნა ვასილ კაკუშაძე. საჭიროა წევრთათვის ბლომათ „ანტიბახუსინი.“

ოფშქვითი. გარდაიცვალა ცნობილი ქველმოქმედი „დამხმარებელი ბანკი“ მიზეზი ქანქართა ფაღარათია.

სხივიშვილი.

ქუთაისი. ამბობენ სამაზრო მარშალთა კორპორაცია უსიამოვნებას გრძნობს ვარადებულ აფაქიძის მარშლობის თანამდებობიდან გადაყენებისა გამოო. არც ჩვენა ვართ დაზღვეულნი ასეთი განკარგულებისაგანო ფიქრობენ თურმე ისინი.

ბათუმი. დაიწყო მიტინკები სულთანის ქვეშევრდომთა, ჯერ ქლეტა არ დაწყებულა.

ორას სამოც და ექვსი კუბო. რიკოვის მაღაროების მსხვერპლთ

ახალი ამბები

საიდუმლო ხვრელი. როგორც ამბობენ, „ტრამვაის საზოგადოების“ მთავარ სადგომში აღმოუჩენიათ საიდუმლო ხვრელი. ჯერ-ჯერობით „გაპარულა“ მხოლოდ სამოცოდ მოსამსახურე.

—

მინისტრის შენიშვნა. როგორც ამბობენ გზათა მინისტრს შეუნიშნავს: ამიერ კავკასიის რკინის გზებზე მოსამსახურეთა შორის ქალები სჭარბობენო. ეს მაშინ გახლდათ, როცა თფილისის სადგურის ბუფეტის მოიჯარადრესთან მხოლოდ ერთი ქალი მსახურებდა. მინისტრის მოგზაურობის შემდეგ კი ბუფეტის გამგეს გადაუწყვეტია: ყველა ვაჟები დაითხოვოს და ქალები იმსახუროს. ჩინებული აზრია.

—

ახალი დრამა. ერთ-ერთ ცნობილ ქართველ მწერალს, რომელსაც „ივერიაში“ შვიდი კორესპოდენციაც კი ჰქონია მოთავსებული, ამ ჟამად, შესანიშნავი დრამა გაუკეთებია. ეძებენ გამომცემელს. დრამა შეიცავს 57 მოქმედებას და 74 სურათს. მომქმედ პირთა რიცხვი 737-მდე ადის, ხოლო წარმოდგენა 13 დღეს არ გათავდება.

—

„პაჟარის“ სტატისტიკა. როგორც ამბობენ, მას შემდეგ რაც თფილისში ქუთაისის ბანკის განყოფილება გაიხსნა, „პაჟარს“ შესამჩნევათ უმატნია.

ძალლი და ადამიანი.

ნეტავი არ შენახა ჩემდა მოსაწყენათ!..
ორ ჯარის კაცს მიეყვდა ძალლი მოსარჩენათ.
ბეითალი, იმ ძალლსა, დღეში ორჯელ სინჯავდა,
და ორჯერვე შესაფერს წამლებსა უწერავდა,
იქმნა კაცი შემომხვდა ჭაღარა შერეული;
ეკვანილი მოეყვდა ქალიშვილი სნეული.
ათი წლის იქნებოდა ქალი, დასუსტებული
უკან დედა მისდევდა, მწარეთ დადონებული.
ვკითხე: „რისგან გაგიხდათ ასე საცოდავათა?“
—„ნოტიო ბინისაგან გახდა, შვილო, ავათ!“
—„მერე, ნოტიო სახლში, მითხარ რისთვის დგებოდით!
—„ეჰ! რეგვენო, მისთვის რომ სიმშილითა ვკვდებოდით!“
გულზე ტეტხლი მომედო, ტრემლები მომერია!
ვსთქვი: ასეთი სიცოცხლე რომელ წიგნში სწერია?!
კაცი იუფეს ცოცხალი, განუწყვეტლად შრომობდეს
და ამ შრომისა შვილი, სამარეში ცხოვრობდეს!..

მ. ლელაშვილი.

ზმირი.

(ვუძღვნი შუბნელს).

შეურყეველი, ამაყი, მხნე და გამბედავი
მონურ ცხოვრებას ის ვერ ითმენს, ვერ ურიგდება
და სურს შესწიროს დიად საქმეს ზვარაკათ თავი,
რომ ჩაგრულებმა მოიპოვონ თავისუფლება!
ოქროს კერპებსა მტრულის თვალით იგი უცქერის!
მუქთა ხორები, მცონარენი მას ეზიზღება!
სწამს, რომ ის არის სიქადული და შვება ერის,
ჩაგვრას ადგილი ქვეყანაზე რომ არ ექნება!
ეგ აზრი უნთებს მას გულს, როგორც მწველი გენია,
შავბოროტებას უწევს ბრძოლას თავგანწირულსა
და სანუკვარათ ტანჯულს გულში ის-ღა შთენია,
რომ ენაცვალოს ხალხისადმი ღრმა სიყვარულსა!
შავბედში მყოფის სიყვარული გულს აღუბეჭდავს,
მომავალს სწირავს მთელს არსებას, მთელს თავის ძალას!
ტანჯულთ ცხოვრებას, გამწარებას, ირგვლივ რომ ხედავს,
პირად სიამეს არად აგდებს, როგორც ხმელს ჩალას!
შეურყეველი, ამაყი, მხნე და გამბედავი
ის იბრძვის, იბრძვის მონობისა დასანგრეველად
და მაღალს მიზანს სურს შესწიროს ტანჯული თავი
დიად ტაძარზე ზვარაკთა და საკმეველად!..

ნ. ზომლეთელი.



გრაფ ცეპელიინის მფრინავი ხიბალდი.

ზოგიერთი ტიპიური არსებანი.

„ფილოსოფოსი“

დიდი კაცები ამბობენ და მე საბუთი არა მაქვს არ ვერწმუნო მათ, რომ ჩვენ, ქართველებს, ამ დროამდის ფილოსოფოსნი არ აღმობვჩენიაო. თუმცა ზოგიერთები იმასაც კი ამბობენ, რომ ჩვენ გვყავდენ ფილოსოფოსები და მათ შორის პლატონ იოსელიანი, მარა დანარჩენი ზოგიერთები პლატონს და პლატონისებურთ არ ცნობენ ფილოსოფოსად და მე არც ამ შემთხვევაში მაქვს საბუთი არ ვერწმუნო ამათაც.

მაშ ასე. ამ დროამდის ჩვენ ფილოსოფოსი არ გვყოლია.

მარა ყოვლად მოწყალე არსებამ ამ ბოლო დროს მიიღო მხედველობაში ჩვენი ფილოსოფოსობით სიღატაკე, გადმოგვხედა მოწყალე თვალით და გვიბოძა ფილოსოფოსი.

მაშ ეხლა ჩვენ ფილოსოფოსი გვყავს.

გვყავს საზღვარგარეთიდან დაბრუნებული ახალგაზდა ფილოსოფოსი. მას არ აკლია ნიშნები ფილოსოფოს ს : წვერი და ულვაში გაპარსული აქვს, სწორედ ისე, როგორც გეგელსა, კანტს ნაუტონსა, შოპენფაუერსა და სხვათა ჰქონდათ. ვინ არ დამერწმუნება, რომ ეს სწორედ ფილოსოფოსობის ნიშანია.

ჩვენ ფილოსოფოსს გახამებულ საყელოში ფილოსოფიური კისერი სულ ყურებამდი ჩაფლული აქვს და მით კისერი ისე აქვს გაჩილაკრებული, როგორც მაგარი სარი კარბად დაწნულ ღობეში. არც ამაში შემედავება ვინმე, რომ ესეც სწორედ ფილოსოფოსობის უტყუარი ნიშანია.

ჩვენი ფილოსოფოსი ფრიად დინჯია, უზომო დინჯი და თვალებით ქვესკნელს მიქცეული ხშირათ უნახავთ თავჩაქინდრული ქუჩაზე მიმავალი. ესეც ხომ რაიმეს ნიშნავს.

ჩვენი ფილოსოფოსი უბრალოთ არ გამოგელაპარაკებათ. და არც გაემტყუნება მას ეს, რადგან ყოველთვის და ყოველგან მისი ტვინი სულ მაღალ-მაღალ, მიუწდომელ რამეებზე ფიქრობს და ფიქრობს...

— გამარჯობა, ბატონო ახალგაზრდა ფილოსოფოსო, ბრწყინვალე ვარსკვლავო, აღმოსულო საქართველოს გასაბრწყინვებლათ!—მდაბლათ თავს დაუკრავთ მას.

მიუწდომელ ფილოსოფიურ საგნებზე მუდამ დაფიქრებულს მას არ გაემტყუნება, რომ თქვენ, უბრალო მომაკვდავი, ამ გრძელი მისალმების შემდეგაც ვერ შეეკამჩნიოს და მესამეხელ თუ გაუმეორეთ მდაბლათ თავის დაკვრა, შეიძლება მხოლოდ მაშინ დაირღვეს მისი ღრმა ფილოსოფიური ჩაფიქრება და აიღოს ფილოსოფიური თავი, განზე შემოგხედოს და ღრმათ წაიდუდუნოს:

— ااااا? რა თქვით?

— დიდება თქვენდა ახალგაზრდა ფილოსოფოსო, შემმუსვრელო წყეულ „იმ ერთი მიმართულებისა“!. ეს ვთქვი, ბატონო,—ეტყვით თქვენ.

— გა-გი-მარ ჯოთ!..—მძიმეთ იტყვის ფილოსოფოსი, ისე მძიმეთ, რომ გეგონებათ: „გაგიმარჯოს“ თითო მარცვალი მილიონ-მილიონი ფუთი ყოფილაო.

გეტყვით ამას და კვლავ განაგრძობს მიუწდომელ მაღალ იდეებით გაბერილ თავზე ხელშემოდგმული ღრმა და მძიმე-მძიმეთ ჩაფიქრებას

ჩვენი ფილოსოფოსის ქებათა-ქება თვით მაღალ ცასაც კი წვდება.

— აი, ამბობდენ: ქართველებს ფილოსოფოსი არ ეყოლებათო. მეხი კი დაეცათ ამის მთქმელებს თავზე! ხომ გაგვიჩნდა ფილოსოფოსი. განა ასეთი ფილოსოფოსი, ასე გაბედულათ, რიხიანად დიდ-დიდ რამეებზე მოლაპარაკე და მწერავი. ახალ-ახალ თეორიების შემქნელი, ფილოსოფოსი არ არის?!.. აბა რა არის?!.— გაცხარებით ეუბნება ქართველი მანდილოსანი თუ შლიაპოსანი, მტერი „იმ ერთი მიმართულებისა“ მეორე მტერს იმავე „ერთი მიმართულებისას“.

— Дааа!..—ეთანხმება კატელოკოსანი.—ამ ბოლოს გაგვიჩნდა. მოგვნათლა მამაცხონებულმა.

— თან ლამაზიც კია. ფილოსოფოსია, მარა ლამაზი-კია.

მე კი მეგონა, რომ ფილოსოფოსი ლამაზი არ იქნებოდა — ისმის ხმა კეკლუცი ქალისა.—შენ როგორ ფიქრობდი, მიშელ? გეგონა, რომ ფილოსოფოსი ლამაზი იქნებოდა?. ამბობენ—კანტი არ იყო ლამაზი და ქალებს არ უყვარდათო. დიახ, არ უყვარდათო. ეს მე ჩვენმა ფილოსოფოსმა მითხრა, მითხრა სწორეთ მაშინ, როცა ლექციის კითხვა გაათავა და სახლში რომ ერთად წავედით. გზაზე მითხრა.

— მე ვფიქრობ, რომ ფილოსოფოსიც კაცია,—უპასუხებს მძიმეთ მიშელი,—და ვინაიდან ის კაცია, შეიძლება იყოს ლამაზი და შეიძლება არ იყოს ლამაზი. კანტი კი, არ იყო ლამაზი.

— სწორედ ასევე მითხრა მე ჩვენმა ახალგაზდა ფილოსოფოსმა,—ამბობს ეხლა მეორე კეკლუცი,—სწორედ ასე თქვა: ფილოსოფოსნიც კაცნი ვართო, ჩვენც ვიცითო... ქე ვიტყვი რა თქვა, მარა სხვაფერ რო მიიღოთ? ჩვენც ვიცით სიყვარულიო. მხოლოდ ერთი განსხვავებითო: უფრო ღრმა, უფრო დასაბუთებული, ერთი სიტყვით, უფრო ფილოსოფიური სიყვარულიო. ჩვენც კაცნი ვართო და მიხვდი ეს შენო. სწორედ ასე მითხრა დედას ვფიცავარ. შენ მიტომ გეუბნები ამას, რომ მიხვედრილი ქალი ხარ და მიმიხვდებიო. მე რომ კარგად ვიცი სიყვარული და მესმის ის არა ნაკლებ აღფრთოვანებული პოეტისა, ამას მე მალე დავამტკიცებო, თქვა. მე ლექციას წავიკითხავ სიყვარულზე და აბა ნახეთ, თუ მე არ ვიკი სიყვარულიო.!

ამ სიტყვებზე მიშელი გაჯავრებით იწყებს ულვაშების გრეხას და მრავალ მნიშვნელოვანათ „ჰმ!“-„ჰმ“-ს ძახილს.

— არა, ერთი კია მართალი,—ამბობს ის,—ფილოსოფოსს სხვებსავით, მაგალითად, ჩემსავით არ შეუძლია სიყვარული.

— ხო, მართლა... შესამჩნევი ლექცია იყო. სულ თავიდან ბოლომდე დაასურათა სიყვარული. დაასურათა ღრმათ, ბრძნულათ, მძიმე-მძიმეთ.—ამბობს მიშელის ამხანაგი ჟორჟი:—სულ სულ-განაბული და თვალ-განაბული ვისმენდი მის ლექციას სიყვარულზე,—კეკლუცად ამბობს შლაპოსანი კეკლუცი,—იმდენი ვატაშუნე ხელები, რომ ახლაც მტკივა. იმდენი ვცემე ხელი ხელს, რომ მანაც მომაქცია ყურადღება და თვალი თვალში გამიყარა.!

ეს სიტყვები მიშელს კიდევ უფრო გააჯავრებს. ის ჩუმად ჩაილაპარაკებს: მე იმას კარგად გავუყრი გვერდებში!...

— არა, თავი და თავი საქმე ის იყო, რომ იმ ერთ მიმართულებას ტყავი გააძრო,—ამბობს სხვა კატელიკოსანი, —მარქსი სულ გააქრო.

—შეამჩნიეთ თქვენ, რომ მას მეტის მეტად შვენის წვერულვაშის გაპარსვა?,.—ჩაერია ლაპარაკში ახლა სხვა კეკლუცი.

— ამბობენ, მაგას დაწერილი აქვს ერთი გამოკვლევა და ის რო დაიბეჭდება, მერე მარქსისტობა აღარ იქნებაო. სხვა ფილოსოფოსებმა კი ვერაფერი მოუხერხეს მარქსს.—ბრძნულათ ამბობს ჟორჟი.

ასე ლაპარაკობენ ჩვენ ახალგაზრდა ფილოსოფოსზე და განა ეს იმას არ ნიშნავს, რომ მოგვხედა ღმერთმა, თუმცა გვიან, მარა მაინც მოგვხედა და მოგვცა სასახელო ფილოსოფოსი!..

ასე ლაპარაკობენ ქალები, ასე ლაპარაკობს მიშელი, ჟორჟი და სხვა კატელიკოსანნი და განა ეს იმას არ ამტკიცებს, რომ ჩვენ მართლა გვყავს ფი-ლო-სო-ფო-სი?!..

დიახ, ასე ლაპარაკობენ.

თვით ჩვენი ფილოსოფოსი რაღას ლაპარაკობს თავის თავზე?

— მე უბრალო მომაკვდავს არ გავყვები კამათში. ეს რო ვქნა სახელი გამიტყდება,—ამბობს ჩვენი ახალგაზდა ფილოსოფოსი. თუ თვითონ მარქსი გამოვა სადისპუტოთ, რა გაეწყობა—გავყვები, გავყვები და ჩავჭრი ყოველ კითხვაში სწორედ ისე, როგორც გიმნაზიის მასწავლებელი ჩასჭრის პირველ კლასის მოსწავლეს.

— ბატონო ფი-ლო-სო-ფო-სო! თქვენმა ფილოსოფიურმა თავმა უთუოდ იცის, რომ მარქსი კარგა ხანია, რაც მიიცვალა. მე ვფიქრობ, რომ მკვდრებს არ შეუძლიათ ადგომა და კამათში გამოსვლა.—დიდის მოწონებით მოახსენებთ ფილოსოფოსს.

— დაე ენგელსი იყოს! გამოვიდეს ენგელსი!

— ენგელსიც რომ მკვდარია, ბატონო!

— გამოვიდეს ლიბკნეხტი!.

— ლიბკნეხტიც მოკვდა, ბრძენთა-ბრძენო!..

— მერე რა ჩემი ბრალია, ჩემო ძმაო, თუ ყველა მოკვდა!... აქაო და იგინი მოკვდენო და იმისთვის უბრალო მომაკვდავს ხომ ვერ გავყვები კამათში! რა გაეწყობა მოიყვანეთ კაუცკი და თქვენი ხათრიზა იქნებ ვიკადრო იმასთან კამათი. პლეხანოვი, გედი, ლაფარგი, ბებელი ესენი ტყვილათ არ შეაწუხოთ.

ასე ამბობს ჩვენი ახალგაზდა ფილოსოფოსი.

კარგი კი იყო თქვენმა მზემ და საქართველოს მზემაც რომ ეკადრებია და გაყოლოდა დისპუტში იმ ჩამოთვლილ პოლიტიკის მოღვაწეთ. როცა ჩვენი წვერ-ულვაშ გაპარსული ფილოსოფოსი ენას ჩაუკავებდა იმ ევროპიელებს ამას რაღა ემჯობინებოდა! ვუყურებდით ჩვენ სეირს და მოგვემატებოდა ნაციონალური სიამაყე, რაც თურმე ძალიან გვაკლია მეორე ფილოსოფოსის გამოკვლევით. ექნა ხათრი, ჩვენ ფილოსოფოსს და გაყოლოდა კამათში იმ ხალხს, ძალიანს დავუმადლებდით საქართველოს შვილნი, მარა არ კადრულობს და არა ოჯახ-აშენებული და რა ვქნათ!...

რას წერს ჩვენი ფილოსოფოსი?

ოოოო!... წერს, მარა რას წერს!... ისეთს წერს, რომლის შესადარი ჯერ არსად დაწერილა.

ყველა ფილოსოფოსები გაათვასა. შექმნა ახალი თეორია, თეორია ცა და ქვეყანაზე უმჯობესი, ვით თავი ჩვენი ახალგაზდა ფილოსოფოსისა; თეორია, მიუწდომელი ვით ცა და ულრმესი, ვით ოტლანტიის ოკეანე. მართალია ჯერ არავინ იცის, თუ რაში მდგომარეობს ჩვენი ფილოსოფოსის თეორია, რადგან ჩვენ ფილოსოფოსს დაპირებული სქელ კანიანი წიგნი ჯერ არ გამოუშვია, მარა რომ მან ახალი თეორია შექმნა, ეს ცხადზე უცხადესია. ცხადზე უცხადესია იმიტომ, რომ თვით ფილოსოფოსი ამბომს: მე ახალი თეორია შევქმენიო. ვამტკიცებ, რომ ადამიანს სული აქვს და ის სული მოთავსებულია ფილტვებსა და გულის შუაო.

ღმერთმა ხელი მოუმართოს! ყველაფრიდან ჩანს, რომ მისი თეორია მართლა მეტად საყურადღებო და ღრმა ყოფილა. ხუმრობა საქმეა იმის გამოკვლევა თუ სად, სხეულის რომელ ნაწილშია სული? ჯერ ეს თვით ღმერთსაც არ უთქვამს ადამიანისთვის.

ჩვენი ფილოსოფოსი თუმცა არ კადრულობს უბრალო მომაკვდავებთან კამათში გამოსვლას, მარა ხანდახან მიიღებს ხოლმე მონაწილეობას და პრესაში წაიკამათებს.

პრესაში მისი კამათი ნამდვილი ქარიშხალია, რისხვაა ღვთისა ცოდვილ ადამიანის შესამუსრავად.

— იძულებული ვარ უვიცს №-ს ავუხსნათ ანბანური ჭეშმარიტება,—წერს ჩვენი ფილოსოფოსი,—იმ საცოდავმა,

საბრალომ, უბადრუკმა, უვიცმა და გონებით ღატაკმა თითონვე არ იცის ის, რასაც იცავს. ამიტომ იძულებული ვართ ვასწავლოთ, თუმცა უვიცების სასწავლად არც დრო გაგვაჩნია და არც ხალისი გვაქვს. №-მა არ იცის, თუ რამდენია ორ-ჯერ-ორი; თუმცა წერილი გაგვიჭიანურდება, მარა ვასწავლოთ ესეც.

და ასე ბოლომდის გააჭრელებს ჩვენი ფილოსოფოსი ამგვარ ფილოსოფიურ ღრმა აზრებით 366 ფელეტონს.

ასეთია ჩვენი ახალგაზდა ფილოსოფოსი. ასეთი ბრძენია ის და იმით მართლა რომ სამართლიანად ამაყობენ ჩვენი მაღალი წრის მანდილოსანნი და ქუდოსანნი, მტერნი ცნობილ „იმ ერთ მიმართულებისა“.

ჩვენ კი, უბრალო ადამიანებს, რა გვეთქმის!... ჩვენ აბა რას მივხვდებით ფილოსოფოსის მიუწდომელ ღრმა აზრებს! ჩვენ გვმართებს მხოლოდ სიხარული, რომ ამ ბოლო დროს მაინც გვეღირსა დიდი ფილოსოფოსი, ფილოსოფოსი კანტივით და გეგელივით წვერ-ულვაშ გაპარსული.

აქვე არ შეგვიძლია დიდის მოწიწებით არ მოვიხსენიოთ ის სამართებელი, რომელიც ჩვენი ფილოსოფოსის ფილოსოფიურ ყბებს ემსახურება და თავის მოქმედებით ამსგავსებს ჩვენ ფილოსოფოსს გეგელსა, კანტსა და სხვა ფილოსოფოსებსა.

აქვე მივაქცევთ ამ საისტორიო სამართებელზე ჩვენ მეისტორიეთა ყურადღებას. საჭიროა, რომ ეს სამართებელი არ დაეკარგოს ჩვენ შთამომავლობას, რათა იცოდეს მან თუ რომელი სამართებელი იქმნა ღირსი ჩვენი ფილოსოფოსის ყბების გაფხეკისა და აგრეთვე ამ სამართებლის წმინდათ დაცვით საქართველოს შვილთ შეძლება მიეცეთ, როცა მოისურვებენ, იხილონ სამართებელი იგი, აღიღონ ხელში და თქვან:

— აი, ამა სამართებლითა იპარსავდა წვერსა და ულვაშსა, მსგავსად კანტისა, გეგელისა, ნიუტონისა და სხვათა ბრძენთა პირველი ფილოსოფოსი ჩვენი №.

კენტი.

წერილები ეშმაკისადმი

სუფსა. შენ გენაცვალე ეშმაკო,
საქმე არ გვიქნა ცუდია...
მცირე ხნით უნდა გვათხოვო
შენი მათრახის კუდია.
მაგრამ ამ დროით თუ რომ შენ
საქმე გაქვს, არა გცალია,
ჩვენ მოგვანდევი, დროებით
ვიკისროთ შენი ვალია.
აბა მითხარი თუ ძმა ხარ
ეგ შვარცი რა ფერშალია?
არ გაეგება ხელობის
ასავალ-დასავალია.
ვაჭრებიც გემდურებიან
რომ არ გყავს მონახსენები
ნოქრებს კისერში ასხედან
დღე და ღამ განათენები...
არც გლოვაცკიზე ამბობენ
კარგ-კარგს „ბოროტი“ ენები,
მაგრამ ვიკმაროთ ამ ხელად
ეს მცირე მონახსენები.

აფრიკელი ეშმაკი.

ჩახატოური. მათრახით ანაკვნესებთა
ბევრი „ჰანგები„ მსმენია,
და გეველრები ეშმაკო
იხილო დაბა ჩვენია.
მოინახულე პირველად,
ექიმი სადასვენია,
იქნებ შენ გითხრას როდის აქვს
იმას “პრიომის“ დღენია.
ნუ დაგვიტოვებ უნახავს
ნურცა „ქართველის“ დუქანსა,
იქ „ძმა-ბიჭებსა“ იხილავ
და „უხინკულა“ მსუქანსა.
პირი არა ჰქნა ბოგისკენ
სახიფათოა ლიდათა:
ტყუილათ ხო არ მონათლეს
იგი „სოდომის“ ხიდათა?

ბ. რ. შ. ვ. ლ—ი.

აბაშა. (სამეგრელო) აბაშელების სამდურავს ვერ გადაურჩები, ძმაო ეშმაკო! მამა ბესარიონ კაჭარავა რა ისეთი წითელი კვერცხია, რომ ათასჯერ დამსახურებული კუდი მათრახისა აღარ ეღირსა. ამ წინაზედაც „მკვდრების აჯანყება“ გამოახოხორიკა და სოფელი შეაწეხა, მართლა კი ვიღაცას სასაფლაოზე პროკლამაციის ფურცელი ჩაეგდო. დანაკლისს დრამასაც ისე მოხერხებულათ ივსებს, რომ სწორეთ გაგიკვირდება. ჯვარის-წესის კურსი ასწია.

მამა მელიტონ გვანია არა თუ ჩამოუვარდება ბესარიონს, პირ-იქით კიდეც წააცილებს. ცოტა უკლია, რომ წირვათაც კანცელარიებში დადგეს.

აფთიაქარი „მამონტ“ კანდელაკი სულ „ოპიტებს“ ახდგენს და თუ წამლების იმასქნაში დაიჭირე, მაშინვე „опытъ“ ს მოიმიზეზებს.

ფოთელი.

ოზურგეთი. ამბობენ თავსა ქალაქის
კვლავ „ნანდომება“ თავობა“...
შეიტყვეს ნოქართ ფურცელის
გადამალვ-შემნახაობა.
ზოგნი ვაჭარნიც ადგენენ
ხელის მოწერით სიასა,
და უნდათ: „დუმიშხანული“
მიართვან პოლიციასა. შურდული.

ბაქო. შენ გენაცვალე ეშმაკო!
ისმინე ჩემი თხრობილი:
შირშან ბატონი სარდიონ
გახლდათ მუშების ძმობილი.
ახლა კი გამოიცვალა
„გახაზეინდა“ სრულთაა,
და მეგობრებსა შარშანდელს
გადმოუბღვერის მტრულათა.
ჯამაგირს აღარ გაღირსებს,
ლანძღვას, რამდენიც გინდესა
უკუდოთ ნუღარ დასტოვებ
ჩვენს ბატონ გურგენიძესა.

ივანიკას ბიჭი.

მუხიანი. ჩვენი მოძღვარი წირქიძე ქეიფშია რაღა! საბუთიცა აქვს იქეიფოს. 1905 წელს აქ ეკლესია გაძარცვეს და რადგანაც კარები გასაღებით იყო განაღები, აღელვებულმა ხალხმა ეკვი თვით ეკლესიის მსახურებზე მიიტანა. ერთ-ერთ საჯარო კრებაზე ეს პირები კიდევაც გამოტყდენ და გადაიხადეს დანაკარგ ნივთების ფასათ 90 მანეთი. მათივე თხოვნით ეს ამბავი მიყრუვდა, მაგრამ მიყრუვდა იმ დრომე, ვიდრე რეაქცია ფრთებს აისხამდა. ახლა გააშანშალა პატივცემულმა მოძღვარმა თხოვნა სადაც „ჯერ არს“ და ფული გაინაღდა. ფულის განაღდებას კიდევ ვინ ჩიოდა, სამი კაციც ლამის მიაიმასქნას შორეულში.

უსტაბაში.

—

დაბა ლაილაში. ბ-ნო ეშმაკის მათრახო! თუ შენ ყველაფერი იცი, აბა გაიგე რა მიზეზია, რომ ჩვენს დაბაში ჟურნალ-გაზეთები ჯერ ერთი რომ ნაკლები და ისიც დახეულ-დასვრილი მოგვდის. რამდენი ხანია მე გაზეთებს ვყიდი და ეს „პარიადკა“ ახლა შემოიღეს.

მიხვდი?!! ამას ვინ არ მიხვდებოდა გაზეთებს რომ ალპანის სტანციის მწერალი ანდრია გიორგობიანი იძაშობა. მაინც მალადეც ასე მალე რომ გაიგე. ჩვენ რამდენ ხანს ვიფიქრეთ და ბოლოს როგორც იქნა გავუგეთ.

შენ, ბ-ნო ეშმაკის მათრახო, იქნება ისიც მოახერხო, რომ ანდრიამ აწი მაინც არ დაგვიკარგ-დაგვისვარ-დაგვიხიოს გაზეთები. თუ მოიგონო ხერხი მომწერე. ჩემი ადრესი ლაილაში გაზეთების აგენტი კოლა ადხაზოვი.

—

ოზურგეთი. ეშმაკი ძმაო! ივანე ჯაყელის სიხარულს საზღვარი არა აქვს, რომ შენს მოგზაურობას ასე უვნებლათ გადარჩა. სამაგიეროთ პოლიტიკური ტუსაღები ვერ გადარჩენ მის “მზრუნველობას“. მოგეხსენება, „მეექთნე ქოთანს ყურს იქით გამოაბაბს საითაც უნდა“. ივანეც საკუთარი მოწონებით პოლიტიკურ ტუსაღებს „უგოლოვნების“ კამერაში უკრავს თავს, ხოლო უგოლოვნებს პოლიტიკურის კამერებში. ეს უკანასკნელი კამერები უფრო სუფთაა და მცირე „იმის“ შემდეგ იქ გადასკუპება ყველა უგოლოვნს უნდა. შენ, ძმაო ეშმაკო, შეგიძლია შენი თვალით ნახო ყველა ეს, რასაკვირველია პროკურორის მოსვლის დღე თუ არ შეგხვთა. მართალია ეს სტუმრობა იშვიათია, მაგრამ ამ დღისთვის ყველა ტუსაღები თავ-თავის ალაგას არიან. ეზოს სისუფთავეს ხომ კითხვაც აღარ უნდა.

დაბალი

—

ზინგერის ლოკაუტი.

ძმაო ეშმაკო, შენს მათრახს
გონს ბევრი მოუყვანია
და გიცდით მოუთმენლათ
აგერ რამდენი ხანია.
გეცოდინება, ძმობილო,
(სწერავდნენ გაზეთებშია)
რომ ლოკაუტი მოგვარტყა
ზინგერმა დეკემბერშია.
მოიწადინეს ეს საქმე
ფირმის გამგემ და მმართველმა
ბატონმა ერნსტემ და ელსტემ
ჩვენმა მტრებმა და მჩაგვრელმა.
შეთხზეს ახალი პროექტი,
გაგვიბათილეს ძველები,
ყოველგვარ შეღავათებზე
აგვაღებინეს ხელები.
ასეთი ხრიკით გმირებმა
იქ გაიკეთეს სახელი
და პეტერბურგში მათ საქმეს
არვინ გაუხდა მძრახველი.

ცოტა არ იყოს ჩვენც ჩვენი ხელით ავიტეხეთ ხათაბალა. სად გაგონილა სიმართლე და პატიოსნება გასულიყოს ქანქართ-მოყვარეთა შორის. აგენტებმა აღმოვაჩინეთ ქურდი გამგეები, რომელთა კვალს დიდ-ხანს ვერ მიაგნებდენ დღეს ჩვენს წინააღმდეგ ამხედრებული ერნსტე და ელსტე. ისინი რასაკვირველია მაშინვე დაითხოვეს, მაგრამ როცა ჩვენს წინააღმდეგ მიმართული ზომები გაიყვანეს და ორმოციოდე კაცი ქუჩაში გამოგვყარეს, ქურდი გამგეებიც ისევ ძველ ადგილებში ჩააყენეს.

ელსტე, განაგრძობს ლოკაუტს
აგერ შვიდი თვე სრულდება
უკან წაიღო ყოველი
რაც იყო ძველი თქმულება.
ჩვენ კი ქუჩაში დავდივართ
მშივრათ, ულუკმა-პუროთა
და გთხოვთ ჩვენს ელსტეს მათრახით
გვერდები შეუხუროთა.

მალაღური.

—

სამტრედია. სცენის მოყვარეებმა სწორეთ გასაოცარი იერიში მოიტანეს ჩვენს უბადრუკ დაბაზე. ამ წინაზე მათრახის კუდით აცხუნებულნი, სადღაც მიიმალენ, მაგრამ ახლა გაორკეცებული ძალით მოგვევლინენ

და სწიწკნიან დაბა სოფლათ
ქალსა და კაცს დაუნდობლათ.

კვირაში, როგორც მახსოვს, შვიდი დღე უნდა იყოს, მაგრამ ამათ 14 გამოყავთ, ვინაიდან დღეში ორ წარმოდგენას მართავენ: წარმოადგინეს ცნობილი პიესა „ებრაელები“. ხალხი ძლიერ ნასიამოვნები დარჩებოდა რაღა თქმა უნდა. ზალაში განუწყვეტელი სიცილი იყო. ბილეთების გაყიდვა, როგორც მოგეხსენება ენდობა ვინმე ბარიშნას ან „მადამს“ და ბიჭი ხარ ნუ იყიდი.

„სათანა.“

—

იქიდანვე. თუ ვისმე უცხოს ჩვენს დაბაში ფეხი მოუცდა, მაქსიმე მაფორია მისი ბიოგრაფიისათვის არავითარ შრომას არ ზოგავს. დარბის ბაზარ-ბაზარ და იკვლევს: ეს უცხო ყმაწვილი უთუოდ „დემოკრანტი“ უნდა იყოსო. უბოძე ერთი კუდი მათრახისა მათ სიმსუქნეს.

ს. შუხუთი. ჩვენც მოგვიგონე ეშმაკო
გთხოვთ ნუ აგვალე ხელია,
თან წამოიღე მათრახი
ზურგისა ასაწველია,
„მენდლიან“ კაცსა შეხვდები
ხუნხუზებისა წევრია.
ისეთ-ისეთი უცხუნე,
იგლიჯოს თმა და წვერია.
ცოტა უფროხილდი, ვინ იცის,
ოცი წლის ციმბირელია
„გაიმასქნებაც“ დაიწყო
თითქმის ეს ერთი წელია.
კარგს იზამთ, სპერმაკუდინით
რომ ჩაუსველოთ ყელია.
ჯოჯოხეთს ვფიცავ, მადლსიზამ,
იქნებ შეუშვას ხელია.

ჭინჭარი.

—

ჩაქვ. (საუფლისწულო მამული) აქ მუშათა მოძრაობა უმაღლეს წერტილამდე ავიდა. დაარსდა პარტიული კავშირი, რომლის მიზანია გაავრცელოს თავის წევრთა შორის კარტ-ნარდის თამაში და ღვინის სმა. კავშირში შედიან რვა წლის ბავშებიც; ამ დღეებში მოხდა დამფუძნებელი კრება; კრებაზე 60 მუშიდან გამოცხადდა მხოლოდ ორმოც და თექვსმეტი. გამგეობის წევრებათ აირიეს: ტარასი ფაშა, ილიკო აღა და დიმიტრი. ორგანიზატორათ უდელში მოვაჭრე მიკიტანი; ხოლო სარევიზიო კომისიის წევრებათ ალიზაი და აფანასი; რწმენით წევრები ასე განაწილდებიან: უკიდურესი ბახუსისტი 16, ნარდისტი 9, კარტისტი 25—გამოურკვეველი 6. მთავრობამ, დუმის დეპუტატის ჩელიშევის შუამდგომლობით, ამ კავშირს ლეგალიზაცია უყო.

გამვლელი.

—

ქ. ახალციხე. მეზობელო ეშმაკო! ძალიან დაუდევარი და გულმავიწყი ყოფილხარ, რომ ერთხელ ბორჯომის ხეობაზე არ შემოიარე და ახალციხის ძველ ნაწილში „რაბათში“ არ გვესტუმრე. ახლა გიგზავნით მეტაჩკე „მიხას“, ის ბორჯომში დაგიხვდება, ჩაჯექ ტაჩკაში და წამოდი. ნახავ ჩვენს კურთხეულ „რაბათში“ სეირს; „ქვეყანა და ცხოვრებაც აქ არისო“ იტყვი. მედუქნეები ვაჭრობისგან გაბეზრებულნი სულ დუქნების წინ სხედან და „კარტს“, „ნარდს“, და სხ. შეექცევიან. ლაპარაკი—მშვენიერი: ერთმანეთის შემკობა—ენა წყლიანობა თუ იქნება, აქა, თუ არა და დუნიაზე არ მოიძებნება. „ქალთა ჩხუბი“—„წეწვა გლეჯა“ უმოწყალოდ, განათლებით ხომ, არ მომიკვდეს შენი კუდი, ვინ დაგვებაძება: „მუზიკა“, დაფი-დაირა—ლეკური და კინტოური ჩვენიუსაქმო ბარიშნების და მათ მაგვარი კავალრებისა—სულის წარმტაცია

— იქნება იცნობდე ვისმე ჩვენ „რაბათში“?

— არვის?

„მაშ კარგი. რაბათი კათოლიკების ცენტრია, და ერთი ნახე მღვდლების ქიდაობა. სარმა, ფანდი, გვერდული და ზურგზე წამოგდება და ადგილზე დანარცხვა—ერთია. აბა, თუ მართლა ეშმაკი ხარ, მიხვდები რამდენი ფუთი დანოსი იგზავნება აქედან წლიურათ.

— მაშ მღ. მიხაკო ვარძელოვსაც ვერ იცნობ?

— ჰმ! მიკვირს შენმა გაზდამ. ქართველ—სომეხი კათოლიკეა. არც ძალიან მაღალი ტანისაა და ჩასუქებული ძალიან. კეთილ მორწმუნე კათოლიკების ჩაგონებით ხელი მიჰყო ახალ ეკლესიის აშენებას. რაბათელები სჩივიან, კუჭი გვეწვის—ის კი იძახის—„ღმერთი მაღალიაო“. ხომ გაგიგონია:

„სჯობს სახელისა მოხვეჭა
ყოველსა მოსახვეჭელსაო“. ისიც სახელს იხვეჭს.

ჰო მართლა, ეკლესია შენდება, შენდება, ჩემო ეშმაკჯან, მაგრამ... აი მაგარიც აქ არის და შენი ნათესაობა, ვაჟკაცობა, გამჭრიახობაც აქ არის საჭირო. ეგ შენი კურთხეული მათრახი სტკიცე ეკლესიის ამშენებელ „კომიტენტის“ წევრს მიხა წალდაძეს, რომ ფრთხილად და ანგარიშიანათ მოექცეს შენობაზე დანახარჯ ფულებს, თორემ რაბათელებსაც ის დაგვემართება, რაც სოფლელებს მოუვიდათ. ჰმ! რა უნდობლათ და წყრომით მიყურებ? მივხვდი, ეშმაკო, რასაც ფიქრობ: „რა შენი საქმეა, იქ სოფელ'ში რაც ჩაიდინაო“.

მართალსა ბძანებთ, ფაშა ეფენდი! იქ სოფელში რა ჩვენი საქმეა, შავ წყალსაც წაუღია! მაგრამ.. აქ „რაბათში“ ვტირით ეკლესიის აშენების დროს... ჩვენ-კი, რაბათელებს, ჩვენი ცხარე საქმე გვაქვს: უვაჭრობა, კარტი, ქაღალდი ნარდი, ლანძღვა-მუსაიფი, შაირები და ბევრი სხვა. და ეკლესიის აშენების საქმეს კონტროლს ვერ გაუწევთ მოუცლელობის გამო. ისევ შენ ერთი ორიოდე დალოცვილი მათრახი გაჰკარ იმ წალდაძეს და მის ამხანაგს, რომ ყური უგდონ ეკლესიის ფულებს.

„რაბათელ ხუმარბაზთა ლიდერი“.

ახალციხელი.

მოხსენება ბათუმელი ეშმაკის კვინწარისა.

თქვენო ყოვლად უეშმაკეულესობავ!

ამ ჟამად ფრიად საყურადღებო და საგულისხმიერო მოხსენება მწადის წარმოვადგინო განსახილველათ თქვენდა. მოხსენება ესე არა მარტო ეშ-

მაკთათვის არს საყურადღებო, ის საყურადღებოა მრავალ ჰეშმარიტ მამულის-შვილთათვისაც. ამ პატარა წინასიტყვეობის შემდეგ კურთხევითა თქვენითა შეკუდგები თვით მოხსენებას.

ეშმაკეულსა ყურსა ჩემსა ჟამსა დიდი მოწყენილობისასა, ოდეს შევეპყარ დარდთა მორეესა, სხვა და სხვა გარემოებისგან გამოწვეულსა, ესმა, რომ ბათუმის ერთ-ერთ დაწესებულებას გადაეწყვიტა პატივ ცემა ერთი დიდი გვამისა, რომელიც ტოვებს ბათუმსა და პატივის ცემა ესე უნდა გამოხატულიყო დიდად შესარგის ჰამასა და სმაში. დანიშნულსა ჟამსა აღვიღე იარაღი ჩემი და ქუდითა უჩინმაჩინისათა ვეწვიე მოქეიფეთა მათ. იყო მუნ ლხინი და ქეიფი მხურვალე.

ვიხილე შუნ ვაჭარნი ბათუმისანი, წარჩომადგენელნი სხვა და სხვა ნაციისანი, პაშანი მჰედელოვანი, გრიგოლი ვოლსკოვანი, გიორგი უპრავოსანი, მრავალნი ჩინოსანნი და სხვანნი და სხვანნი და სხვანნი, მსგავსნი ერთმანეთისანი. შეიქნა სმა სათრობელასი და იქუხა ყანყრატოებმა „რეჩებითა“ საშვილისშვილონითა.

ვცქვიტე ყურნი ჩემნი სასმენელათა და მოვმართე იარაღი ჩემი საჭიროების დროს საცხუნებლათა.

— შენ იყავი მამა ჩვენი,—თქვა მორეჩემა ერთმა,—და ჩვენ ვიყავით შვილნი შენნი. შენ შეგეძლო დაწყვეტა ჩვენი და მიუხედავათა ამისა, არ ინებე დაწყვეტა ჩვენი. ამისათვის მადლობელი ვარ თქვენი და მიიღეთ მადლობა ესე ჩვენი.

და ჩემგან დიდი მადლობის ნიშნათ ესოდენ კარგი „რეჩისთვის“. მორეჩესა ამას მივართვი მათრახისა კუდი ჩემი.

დგება მოღვაწე შესანიშნავი, პატრიოტი დიდი, სახელ განთქმული კენჭობიაში, მრავალთა წელთა განმავლობაში ბათუმის თვითმართველობასა შინა წევრათ მდებარე' ხოლო ეხლანდელსა ჟამსა ზუბრთა შკოლასა შინა პედაგოგ ქმნილი, გადაის ვამს ხელსა თვისსა ულვაშებზე, გაისწორებს პენსნესა თვისსა, განიწმენდს ჩახველებითა ყანყრანტოსა თვისსა და ბაგენი მისნი იტყვიან:

— სამწუხაროთა ჩვენდა მამა ჩვენი გვტოვებს ჩვენ და აწ შენ იქნები მამა ჩვენი. შენ ხარ ნესვი, მარა ისეთი ნესვი, რომელიც ჯერ არ გაგვიჭრია და, მაშასადამე, ჯერ ის არ გვიგემებია ჩვენ. მგონი არავინ შემედავება იმაში, რომ როცა გავჭრით ნესვსა, მოვაცილებთ კანსა, ზედ მივაყრით მარილსა, ჩამოვჭრით პატარა ნაჭერსა და გადავუმახებთ მუცელსა' აი მხოლოდ მაშინ გავიცნობთ იმის გემოსა. ეს აქსიომაა და ეს არ საჭიროებს დამტკიცებასა. მაკედონელსა ალექსანდრესა მაკედონელი დაეთქვა შემდეგ სახელის მოხვეჭისა .. იმედია მიიღებთ მხედველობაში ამა ამბავსა ნესვისასა და მაკედონელისასა და მიიღებთ აგრეთვე მხედველობაში „ბლაღონადიოენობას“ მთქმელისა ამა რეჩისასა.

ესოდენ მშვენიერ „რეჩისათვის“ მთქმელი მისი არ დამიჯილდოებია კუდითა მათრახისათა, ხოლო მომავალში მის დასაჯილდოვებლათ ჩავიწერე უბისა წიგნში.

ვინაიდან ცნობილია, რომ გრიგოლი ჩვენი თავს ვერ ართმევს მასწავლებლობასა და ამისათვის ბათუმელთა ხათრისათვის უარს არ იტყვის ხელახლა იქნას ბათუმის თვითმართველობის წევრათ ხელდასმული, ამისათვის დროსა კენჭობისასა იქმნას ის არჩეულ წევრათა და იქნას დამტკიცებულ თანამდებობასა ამაზე წყალობითა ეხლა წარმოთქმულ რეჩისა.

დგება პაშა ჩვენი, კაცი ფრიად ბრძენი, ყოველთა მის მოვალეებისა წინა ერთისა კალმისა მოსმითა ბრანწისა მთქმელი და თხოულობს წარმავალის ორივე ხელებზე ამბორის ყოფასა.

წინადადება ესე მიღებულ იქნა ერთხმადა. ხოლო პაშასა ჩვენსა მე ამბორ ვუყავი მათრახისა კუდითა ჩემითა.

კვინწარი.

წერილი რედაქციის მიმართ.

—

გასული კვირის ნომერში ბ-ნი „თითონ-იცის“ სწერს: „ლევანა მეჩექმე გაამათრახეო“ რათა? ან რისთვის? ამის გამოსარკვევათ ვიწვევ ავტორს საამხანაგო სამართალში და ჩემის მხრით მედიატორებათ ვნიშნავ: შმაგას და ბიბინოს. ხუთი დღის ვადას ვაძლევ მანაც აირჩიოს მედიატორები და გავსამართლდეთ.

ლევან ბალაშვილი.

—

„ეშმ. მათრახის“ № 39-ში მოთავსებულია წერილი ბ-ნი დიომიდე ბასილაიშვილისა, რომლითაც ის სამედიატორო სამართალში მიწვევს. მე დიახაც მსურდა დიომიდე და მათი ამყოლ-დამ-

ყოლნი გამომკამათებოდენ, მაგრამ დღემდე ეს არავის უკისრია. ახლა კი ბ-ნ დიომიდეს საჭიროთ დაუნახავს საქმის გამორკვევა და მე, რასაკვირველია, ხელს არ შევუშლი. ჩემის მხრით მედიატორებათ ვასახელებ: მოსე ბაჯელიძეს, სამსონ მდინარაძეს და ქრისტეფორე ელიაძეს. ვინაიდან ამ ჟამად ბახვში არ ვიმყოფები, იმედი მაქვს აღნიშნულნი პირნი არ დაზოგავენ შრომას და სისწორით გამოარკვევენ იმ ვითარებას, რომლებიც წერილობით ეგზავნება ერთ-ერთ მედიატორეთაგანს [1]) და რომლებსაც მე ვუყენებ ჩემს მოწინაალმდეგეებს.

მეც კარგათ მესმის რა მძიმე საქმეს ვავალებ ჩემს მედიატორეებს, მაგრამ იმედი მაქვს არ დაიზარებენ და დროზე წარმოუდგენენ რედაქციას თავის რეზოლიუციას.

კაკაბი.

—

ბ-ნო რედაქტორო! თქვენი გაზეთის № 35 მოთავსებული იყო ქიათურიდან ლექსი „ზ-ნი“-ს ფსევდონიმით, რომელიც მე შემეხება და რომელშიაც სწერია, თითქოს მე მრუდი სასწორი მქონდეს.

ვიწვევ ავტორს სამედიატორო სამართალში და ვსახოვ დაამტკიცოს ბრალდება. წინააღმდეგ შემთხვევაში უფლება მექნება ვუწოდო მის საქციელს ლირსეული სახელი. მედიატორეებათ ვასახელებ: მიხაკო გალუსტოვს და პავლე ქაცარავას. ვადას ვუნიშნავ ერთ კვირას დღიდან გამოცხადებისა.

ილარიონ კოხრეიძე.

—

(უკანასკნელი პასუხი მღვდელს რაჟდენ სანებლიძეს).

„ეშმაკის მათრახის“ მე 36 №-ში მე წამოვაყენე თქვენს წინააღმდეგ ხუთი ბრალდება, რომელიც უნდა გაგებათილებიათ, მარა ჩემ კითხვებს გვერდი აუხვიეთ, ქუთათურ მღვდლების გაზეთ „შინაურ საქმეების“ მე 14 №-ში ლობე-ყურეს ედებით, როგორც რედაქციას, ისე მეც ცილის მწამებელს გვიწოდებთ და საზოგადო სამჯავროთი გვემუქრებით, მიუხედავათ ამისა, თანახმა ვარ სამედიატორო სამართალში გაყოლაზე: ჩემი მხრით მედიატორეებათ ვასახელებ: მასწავლებელს ფარნაოზ ქეიშვილს და ერისტო ციბაძეს, დაასახელეთ თქვენც მედიატორეები, რომლებიც თანხმობით ამირჩევენ თავმჯდომარეს, დანიშნავენ დროს, ბინას და შეუდგებიან საქმეს. მათი გადაწყვეტილება გამოცხადდება აუცილებლათ ყველა ქართულ გაზეთებში.

პუჩია.



[1]) რადგან გაზეთში მათი აღნიშვნა რედაქციამ უხერხულათ დაინახა.

ბნელეთის მოციქულებს.

წამოვიდა შავი ჯანღი
და მოიცვა ბნელმა არე,
ნისლმა ჩანთქა, აღარ ბრწყინავს
დიადი მზე, მოელვარე.
შესწყდა მინდვრათ ხმაურობა
მიეშურვის ყველა სახლში,
აღარ ისმის სალამურზე
დანაკვნესი მწყემსის მთაში.
გამოფრინდენ ღამურები
რა რომ ნახეს ქვეყნად ბნელი
იწყეს ხტუნვა ნავარდობა
დღე დიუდგათ სანატრელი.
მაგრამ უცებ დაიქროლა
ამოვარდა დიდი ქარი,
შორს გაჰფანტა ბურუს-ნისლი
გაანათა მთა და ბარი.
მზემაც ნისლი გადიყარა
მიესალმა ტურფა არეს
რა ამაყად ამობრწყინდა
სხივი სტყორცნა ყოველ მხარეს.
ვერ გაუძლეს ბრწყინვალე მზეს
შეძვრნენ ხვრელში ღამურები
შერცხვენილნი, მოძმის მგმობნი
უწინდელი თაგუნები.

ზარბაზანი.



„ეშმაკის მათრახის“ ფოსტა

ჯიხაიში. ს. პ. რქვენი წერილი არ იბეჭდება. დაპირებულ ფაქტებს როცა მოგვაწვდით, მაშინ დავბეჭდავთ.

თფილისი. წყნარს. არ დაიბეჭდება.

ჭიათურა. საბამბელს. თქვენ თხოვნას არ გავაწბილებდით და წერილს დაგისტამბავდით, რომ ასეთი პასუხ-საგები არ ყოფილიყო.

სიმონეთი. სიმონეთელს. რედაქციამ განიხილა თქვენი წერილი თორთლაძის შესახებ, ძლიერ საინტერესოათაც სცნო, მაგრრამ მრავალ-გვარ დაბრკოლების გამო ვერ ბეჭდავს.

წესი. ბასი-კუკუს. არ დაიბეჭდება.

ახალციხე. რაბათელ ხუმარბაზა ლიდერს. უმორჩილესად გთხოვთ: აცნობოთ რედაქციას თქვენი სწორი ადრესი, რაც შეიძლება ადრე.

ჭიათურა. ჭიათურელ ეშმაკს. ახლა გავიგეთ ვინც გყოლიათ სახეში, მაგრამ თვით ტექსტი გამოცანისა აღარ გაგვაჩნია. გამოაგზავნეთ და დაგიბეჭდავთ.

კლდე-დალმართი. მანქანას. წერილს სახელი, გვარი და ადრესი უნდა ეწეროს ავტორისა. რამდენი მანქანაა ქვეყანაზე ვინ იცის. არ დაიბეჭდება.

ხაშური. საშა კ—შვილს. თქვენი ლექსები ვერ დაიბეჭდება.

სამტრედია. ვანოს. თქვე დალოცვილო, ქვეყნის გამათრახებას გვიკვეთთ და არ კი ასახელებთ რისთვის არც თქვენ საკუთარ სახელსა და გვარსა ამბობთ, თორემ იქნებ თითონ......

ჯურუყვეთი. შაშიკოს. არც საშიში და არც დასამტკიცებელი თქვენს ლექსში არაფერია, მაგრამ არც საინტე.-რესოა და არც ხელ-მოწერილი, ამიტომ არც დაიბეჭდება და არც შეინახება.

კ ი თ ხ ვ ა

თქვენი გაზეთის მე № 38, სათაურით: „ეშმაკის მოგზაურობიდან ნათქვამია:

„ზამოირკვა, რომ ბახვის ლინეიკა მხოლოდ ერთხელ გადაბრუნდა და ისიც ისეთ ბინძურ ალაგას, რომორიც ივ. ანთაძის ეზოა. ეშმაკი დაერწმუნა მომჩივანს, რომ აქ მართლა საძნელოა მშვიდობით გასვლა“. და სხ.

უმორჩილესათ გთხოვთ ამ სიტყვებს განმარტება მისცეთ და გაგვაგებინოთ რა სიბინძურეა ივღ. ანთაძის ეზოში თუ მართლა სიბინძურეა გთხოვთ გამოაშკარავოთ და თუ შეცდომა იყო უარყოთ თქვენსავე გაზეთში.

ტიტიკო.

მოითხოვეთ ყველგან

მ. ლალიძის და ამხანაგობის საუკეთესო ქარხნის წყალი!

გემო და არომატი მშვენიერი აქვს.

ქარხანასთან დეკორატიული მცენარეებით ლამაზათ მორთული აივანია, სადაც შეიძლება ყინულივით ცივი წყლის სმა.

ქარხანა იმყოფება გოლოვინის პროსპექტზე, მანთაშევის სახლში. ტელეფონი 411. (13—8)

საყურადღებოთ:

ვთხოვთ ხელის მომწერლებს და აგენტებს დღეიდან დროებით შემდეგ ადრესზე გამოგზავნონ ჟურნალის ფული: Тифлисъ, Типографія „Шрома“, Мелитону Нодія.

დეპუტატების დუელი. (პერგამენტი და მარკოვი 2)

გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ა

ჩვენ არ ვიცით ვინ ბრძანდებათ წერილის ავტორი „ტიტიკო“, რადგან წერილზე გვარს არ აწერს, მაგრამ თუ მას ერთხელაც არის გაუვლია ლინეიკით ივ. ანთაძის ეზოში, უეჭველათ ეცოდინება, რომ იქ საშინელი საფლობი ყოფილა, თუმცა იმ დროს, როცა ზემო აღნიშნული წერილი დაიწერა, ლაფი გამშრალი იყო და ამგვარათ ბინძური გზის მხოლოდ ნაშთი ღა დარჩენილიყო.

რაიცა შეეხება გზის მაგიერ „ეზოს“ აღნიშვნას, სწორეთ გამაკვირვა ასეთმა გაუგებრობამ. როცა სადმე გზაზე მარცხი მოხდება, ადგილის აღსანიშნავათ იტყვიან: ამა და ამ კაცის ეზოში მოხდაო? ამას ასე ამბობს ყველა და ეშმაკის მდივანს რათ დაუწუნეს კილო სწორეთ გვიკვირს. კარგი რამ რო მომხდარიყო და ამგვარათ აღმენიშნა, იმედია ბ-ნი ტიტიკო არ იწყენდა. გარდა ამისა, ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ გარკვეულად დანაწერ სიტყვებს, რომელიც გზას შეეხება, ყველა ისე გაიგებდა, რა აზრითაც დაწერილია და მიკვირს ბ-ნმა ტიტიკომ ლინეიკას გზიდან რისთვის გადაახვევია. იმედია მთელი ბახვის საზოგადოება დამერწმუნება, რომ ივ. ანთაძის ეზოში მართლა ცუდი გზა იყო და რომ ცუდ გზას სხვანაირათ ბინძურ ალაგს ეძახიან.

ეშმაკის მდივანი.

რედაქტორ-გამომცემელი **თ. ე. ბოლქვაძე**

ელექტრომბეჭდავი ამხ. „შრომა“ თფილისი.